

შპს დელტა მედია “-ს
2020 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები


1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
4. ძირითადი საშუალებები
5. არამატერიალური აქტივები
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
8. საკუთარი კაპიტალი
9. მოგების გადასახადი
10. საანგარიშგები პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	2,587,831	2,067,219
თვითღირებულება	(1,481,923)	(1,486,939)
საერთო მოგება	1,105,908	580,280
სხვა შემოსავლები	23,491	36,719
დასაქმებულთა ანაზღაურება	(475,420)	(309,349)
ცვთა და ამორტიზაცია	(4,189)	(4,189)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(141,757)	(32,551)
იჯარის ხარჯები	(41,710)	(44,532)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	88,805	23,508
სხვა ხარჯები	(1,919)	(3,082)
საოპერაციო მოგება	553,209	246,802
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	553,209	246,802
მოგება დაბეგვრამდე	553,209	246,802
მოგების გადასახადი		
პერიოდის მოგება	553,209	246,802
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	553,209	246,802

გამოსაშვებად დამტკიცებულია და ხელმოწერილია შპს "დელტა მედია-ს" სახელით 2020 წლის 20 აგვისტოს.

დირექტორი _____
ფინანსური დირექტორი _____ / მზია ზაფრაშვილი/



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 052 955
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,885229)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	221 899
სავალუტო კურსის ეფექტი	54 175
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	307 077
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	528 978

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შპს დელტა მედია“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2004 წლის 05 თებერვალს. ს.ნ 205020216.

კომპანიის დამფუძნებელი: 1. ალექსი იუკურიძე (ს.კ 01017021308)----- 49%

2. ხათუნა ჯინჭარაძე (ს.კ 01036000486) ----- 30%

3. ალექსანდრე გახარია (ს.კ 01001005442) ----- 16%

4. ანა გახარია (ს.კ 01010014153)----- 5%

კომპანიის დირექტორი: ალექსი იუკურიძე (ს.კ 01017021308)

იურიდიული მისამართი: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, ხეთაგუროვის ქ.6

ფაქტიური მისამართი: საქართველო, ვაკის რაიონში, გრიგოლ მუხამის ქ.24

კომპანიის საწესდებო კაპიტალი: შეადგენს 2000 ლარს.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სარეკლამო საგენტოს საქმიანობა.

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშება.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2017 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით: - ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა-განმარტებები

3.1.1 ფულადი სახსრები.

შენიშვნა 1

დასახელება	2020 წ	2019 წ
ნაღდი ფული საღაროში	0	2.85
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ.	528977,55	307074.59
სულ ფულადი სახსრები:	528977,55	307077.44

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს თიბისი ბანკში, არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.



3.1.2.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

შენიშვნა 2


დასახელება	2020 წ	2019 წ
მოთხოვნები მიწ. და მომსახ.	920 850	641 762
მომწ. გადახდილი ავანსები.	561	343
სხვა მოთხოვნა	2119	57 700
სულ მოთხოვნები და ავანსები	923 530	699 806

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი მოსახურების საქმიანობიდან, კერძოდ: . სატელევიზიო რეკლამა, გარე რეკლამა, ბეჭდვითი მომსახურება, პრესა, ბი-თი-ელ აქციები და სხვა. მომსახურება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

3.1.4 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი

შენიშვნა 4

	აქტივის გამოყენებ ის სასარგებ ლო ვადები	ნაშთი 31.12.2020 წ	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	ნაშთი 01.01.2020 წელი
მიწის ნაკვეთები		-	-	-	-	-
შენობა		-	-	-	-	-
ნაგებობები		-	-	-	-	-
მანქანა დანადგარები		-	-	-	-	-
ხელსაწყოები და ინსტრუმენტები		-	-	-	-	-
კომპიუტერები და სხვა ოფისის აღჭურვილობა	2-7 წ.	8 248			2 938	11 187,19
ავეჯი და ინვენტარი	10-15 წ.	5 203			921	6 124,31
სატრანსპორტო საშუალებები						
არამატერიალური აქტივი	3-10 წ.	246		1 226	330	1802
სულ		13 697		1 226	4 189	19 113,5



3.1.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

შენიშვნა 5

დასახელება	2020 წ	2019 წ
სავაჭრო ვალდებულებები	559 068	523 561
საგადასახადო ვალდებულებები	44 541	
მიღებული ავანსები	42 200	45 635
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	115 760	
სხვა ვალდებულება	4 509	
სულ	766 078	569 196

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია: 20/08/2020 წელს.

შპს „დელტა მედიას“

დირექტორი

ალექსი იუკურიძე

ფინანსური

დირექტორი

მზია ზავრაშვილი

